სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 25 სექტემბერი 2006 №221 (2843) ფასი 50 თეთრი

DAVIS CUP by BNP PARIBAS



3 ! 2

ის, რაც შაბათ-კვირას ირაკლი ლაბაძემ და ლადო ჩიხლაძემ ბუდაპეშტურ თიხნარზე გააკეთეს, კარგა გვარიანი სასწაული იყო, ლამაზი დუნაისპირული ზღაპარი.

დევისის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში პირველი დღის შემდეგ თითქოსდა უიმედოდ ჩამორჩენილმა ქართველებმა ზედიზედ სამი თამაში მოიგეს და საგაისოდ ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

პარასკევის საერთეულო მატჩების წაგების შემდეგ ლაბაძემ და ჩიხლაძემ შაბათის წყვილთა შეხვედრის პირველი სეტიც დათმეს კორნელ ბარდოცკისა და დიერდ კიშდეორდის დუეტთან, მაგრამ შემდეგ ფაქტობრივად უშეცდომოდ ითამაშეს, ოთხ სეტში 4:6 6:0 6:3 6:2 იმარჯვეს და იმედის ნაპერწკალი გააჩინეს.

დუნაისპირა კორტზე ქართული ცეცხლი კვირას აგიზგიზდა, როდესაც ლაბაძემ უნგრელთა ლიდერ ბარდოცკის დრამატული ხუთსეტიანი მატჩი 7:6 6:1 6:7 1:6 6:4 მოუგო და მერე უკვე მეორე ნომრების — ჩიხლაძისა და კიშის არანაკლებ დაძაბულ ბრძოლაში ქართველმა სამი ტაიბრეიკის შემდეგ გატეხა მასპინძელი — 7:6 7:6 6:7 6:2.

გაზაფხულზე სამხრეთ აფრიკა, ზაფხულში პოლონეთი, შემოდგომაზე უნგრეთი — ასეთი გზა გაიარეს ქართველმა ჩოგბურთელებმა. სამივე მატჩში მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება გახდა საჭირო და სამჯერვე გამარჯვება ჩვენებს დარჩათ — აფრიკელებთან ჩიხლაძემ მოიგო ბოლო თამაში, პოლონელებთან ლაბაძემ, უნგრელებთან კი ისევ ლადომ დასვა წერტილი.

სხვა საქმეა, რომ გაცილებით ძლიერი აფრიკელებისა და პოლონელების ძლევის შემდეგ რანგით დაბლა მდგომ უნგრელებთან ასე საეგებოდ არ უნდა გახდომოდათ საქმე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს დევისის თასია, აქ სულ სხვა კრიტერიუმები მოქმედებს და, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

გამარჯვება კი ჩვენია და ქართული ჩოგბურთი ახალ, დამოუკიდებლობის ხანაში არნახულ სიმაღლეზე ავიდა. გაისად ჩვენი სადევისთასო ნაკრები ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ითამაშებს და პირველი მეტოქე ან დიდი ბრიტანეთი იქნება, ანაც პორტუგალია.

ტოპმიოლერის ტრავმული შოკი

ყვითელი ზარალი: კობიაშვილი, გოგუა, დემეტრაძე. რუსული ზარალი: ასათიანი, მუჯირი

რომ იტყვიან, ადამიანურად თანავუგრძნობთ კლაუს ტოპმიოლერს. ტრავმებისგან გატანჯულმა საქართველოს ნაკრებმა ევროშესარჩევის პირველი სამი თამაში, ასე თუ ისე, მოილია და... გუშინწინ და გუშინ ძალიან უსიამოვნო ამბები მოხდა რუსულ პრემიერლიგაში: შაბათს ცესკასთან მატჩის მე-10 წუთზე მძიმედ დაშავდა ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი, კვირას კი მოსკოვის „ტორპედოსთან" თამაში მე-16 წუთზე დაასრულა კრილიელმა დავით მუჯირმა.

„მოტეხილობას კი გადავრჩი, მაგრამ მუხლი გასიებული მაქვს და ძალიან მტკივა" — გვითხრა გუშინ ასათიანმა.

„საშინელ ტკივილს ვგრძნობ. ექიმები შიშობენ, რომ ტრავმა სერიოზულია" — ეს კი მუჯირის სიტყვებია.

ორივე ფეხბურთელს საბოლოო დიაგნოზს დღეს დაუსვამენ.

თავში თანაგრძნობა ვახსენეთ და აქვე ვთქვათ: ასათიან-მუჯირის გარდა, გადაწყვეტილია, რომ 11 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ ლევან კობიაშვილი, გოგიტა გოგუა და გიორგი დემეტრაძე.

გიო ახვლედიანის

სვეტი

პატარა ბიჭის ფეხბურთი

ამ უქმეებზე ძველ მეგობარს შემოვხვდი.

შემოვხვდი კი არა, ერთად ვისხედით ბარე შუაღამემდე და ვლაპარაკობდით, იმის ბიჭი კიდე ფეხბურთზე დადის.

ჩემი მეგობარი ხუმრობდა, აგებენ სულაო, პასში არ თამაშობენო, ვინც წაიღებს ბურთს, მიაქ, სანამ არ დაკარგავსო. ტრენერს აქებდა, კაი ბიჭიაო, ოღონდაცო, წინა რომ ჰყავდათ, ისო, იდგა მოედანზეო და ბავშვებს ფინტებს ასწავლიდაო. რაც რამ ჩვენ ქართულ თამაშში ყოველთვის იყოო, სწორედ იმან ასწავლაო.

ახლა კი, ჩემი მეგობრის ცოლმა თქვა, არ მინდა ასეთი ფეხბურთიო, ორმხრივ რომ თამაშობენ, ერთმანეთს სულ კოჭებში ურტყამენ და მწვრთნელი, რომელიც მსაჯობს, არ უსტვენს და ჯარიმებს არ აძლევს, მეტიც, არცკი ეუბნება, ბიჭო, ნუ ამტვრევთ ერთმანეთს, სუფთად ითამაშეთო.

მე რატომღაც დავიცავი მთელი ეს ამბავი.

ეგეთია დღევანდელი ფეხბურთი-მეთქი, თუ ჭახაჭუხს არ გაეჩვიენ, მერე რო წავა სადმე სათამაშოდ, იქ პირდაპირ მოაგლეჯენ ფეხებს და ალბათ აჩვევს-მეთქი. ასე ვთქვი, თორემ რა ვიცი, რას აკეთებს, ეგებ სტვენა ეზარება.

არაო, ქალმა, საშინელებაა პატარა ბიჭს ვირობას რო აჩვევო.

ჯერ სერიოზულად კარში დარტყმა არ იციან და ისე გამეტებით მოარტყამენ ხოლმე ერთმანეთს ამ პლასტმასის ბუცებსო...

ტყუილია?

ვიძახეთ მე და იმისმა ქმარმა, ეგეთი გახდა ფეხბურთი, ეგეთი გახდა ფეხბურთი, მარა, რა ვიცი, ეგეთი გახდა?

ახლა დღეს „ევერტონი“ — „ნიუკასლი“ თამაშობდნენ და, აბა, კოჭების მოკითხვა იქ იყო, მაგრამ იქ სხვა რაღაცაც იყო.

საქმეც ეგ არის, ის სხვა რაღაცა თუ მიეცემათ ჩვენთან პატარა ბიჭებს, თორემ დედები რომ დგანან მინდვრის კიდეზე და ძვლების ჭახაჭუხზე გული უკვდებათ, ეს ნამდვილია.

არ უსტვენსო, ადექი, გააგრძელეო, ეუბნებაო.

დედის გული მოგეხსენებათ.

არადა, მთელი ის გოთვერნობები უნდა ისწავლოს, რაც დღევანდელ ფეხბურთშია. ისე ვერ ითამაშებს. არადა, უკეთესია, ჯადოქრობები ისწავლოს. კოჭი კი აეწვება, მაგრამ ჯადოქარი იქნება.

შოთა არველაძემ ზედიზედ მეხუთე მატჩში გაიტანა

ივიცა ოლიჩმა მალხაზ ასათიანი ტრავმით და ბოდიშით გაისტუმრა

გოლი 2:2 ტრავმა

არველაძემ და გოგუამ გაიტანეს, ასათიანი და მუჯირი გაიყვანეს

ქართველი ლეგიონერების ამბები შოთა **არველაძით** დავიწყოთ: შოთა შეუჩერებელია, ამჯერადაც გაიტანა და თან ძალიან ფასეულიც — „ალკმაარმა“ სტუმრად 2:0 სძლია „როდას“, ქართველმა ბომბარდირმა კი 69-ე წუთზე გახსნა ანგარიში.

ქართული გოლი გავიდა ნალჩიკშიც, სადაც მასპინძლებმა 2:2 ითამაშეს „მოსკვასთან“. **გოგიტა გოგუა** ძირითადში იყო და... 75-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს. მანამდე კი გოგიტამ გამთანაბრებელი შეაგდო: 61-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ იხეირა.

მეორე მატჩია, ახალგამოჯანმრთელებულ **კახა კალაძეს** სათადარიგოთა სკამზე ჯდომას „არ აცლიან“. წინა მატჩის დარად, ჩვენიანი არც „ლივორნოსთან“ სტუმრად (0:0) შეხვედრაში იყო ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მე-5 წუთზე პაოლო მალდინი დაშავდა და მის ნაცვლად კალაძე შევიდა მინდორზე. შეგახსენებთ: წინა ტურში კალაძემ მე-19 წუთზე ალესანდრო კოსტაკურტა შეცვალა.

კალაძემ თავისი საქმე გააკეთა, აი, მოსკოვის ლოკომოტიველ **მალხაზ ასათიანს** კი ვინ აცალა: ცეესკასთან უპრინციპულესი მატჩის მე-10 წუთზე არმიელმა ივიცა ოლიჩმა გაშლილი ფეხი გამეტებით ჩაარტყა ფეხში საქართველოს ნაკრების ერთერთ ლიდერს და საკაცით გასაყვანი გახადა. წინასწარი დიაგნოზით, ქართველ მცველს ფეხი მოტეხილი არა აქვს, ყველაფერი კი დღევანდელ გამოკვლევაზე გამოჩნდება.

„ლოკომოტივმა“ კი 2:1 სძლია ცეესკას და ქულამდე შეუმცირა სხვაობა.

რამდენიმემატჩიანი უქმობის შემდეგ ყაზანის „რუბინის“ ძირითადში **მიხეილ აშვეთია** გამოჩნდა და 50 წუთი ითამაშა, თუმცა ვერც მან და ვერც „რუბინმა“ „სპარტაკს“ ვერაფერი მოუხერხეს — 0:3 წაგეს. ყაზანელთა დანარჩენ ქართველებს კი თამაში დანატრებული აქვთ.

აღსანიშნავია, **ლევან კობიაშვილის** დებრუნებაც. ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ „კობიმ“ 90 წუთი ითამაშა და მისმა „შალკემ“ 2:0 სძლია „ვოლფსბურგს“.

წარმატებული ტური ჰქონდა **ზურაბ ხიზანიშვილსაც** — „ბლექბერნმა“ სტუმრად „მიდლსბროს“ რომ აჯობა (1:0), ქართველის დიდი დამსახურებაცაა: ერთ მომენტში ჩვენიანმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

უკრაინაში კვლავ არ უთამაშიათ ოთარ მარცვალაძესა და კახა ალადაშვილს. ოდესის „ჩერნომორეცშიც“ მხოლოდ ილია კანდელაკმა იბურთავა, **კახა მჟავანაძე** და **გიორგი შაშიაშვილი** კი სათადარიგოებში იყვნენ.

აი, **გიორგი დემეტრაძე** კი 62-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“. დონეცკელებმა **დავით კვირკველიას** და **ირაკლი მოდებაძის** გუნდს 1:0 მოუგეს — ჟურნალისტების თქმით, სამივე ქართველს აქტიურად უთამაშია.

როგორც იქნა, პირველი პრემიერლიგური შეხვედრა ანდეს „ლუჩ ენერგიას“ **გიორგი ლომაიას**. ვლადივოსტოკელებმა პირველი საამსეზონო საშინაო მარცხი იგემეს — „ზენიტთან“ 0:2 დამარცხდნენ, თუმცა ლომაიას გაშვებულ გოლებში არავინ ადანაშაულებს.

ილია ნანოგაშვილი

მუმუს შანსი გაიყინა

ტოპმიოლერმა სირაძისკენ გაიხედა

დიდი შანსია, დაშავებული დავით მუჯირი ნაკრებს გამოაკლდეს

დავით სირაძე

7 და 11 ოქტომბერს გერმანია-იტალიასთან მატჩებისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულთა სიას კლაუს ტოპმიოლერი დღეს-ხვალ დაასახელებს და, შესაძლოა, მასში ცვლილებები საკმაოდ იყოს.

გუშინ რუსეთის პრემიერლიგის მორიგ ტურში დავით მუჯირის „კრილიამ“ მოსკოვის „ტორპედოს“ 2:0 მოუგო, მუჯირი კი მე-16 წუთზე ტრავმის გამო შეცვალეს.

— ორთაბრძოლისას დავშავდი, მარჯვენა მუხლი ისე ამტკივდა, თამაშის გაგრძელება ვეღარ მოვახერხე. ტკივილი ახლაც მაწუხებს და ყინულები მადევს. წინასწარი დიაგნოზით, მუხლის მყესები მაქვს დაზიანებული — გვითხრა მუჯირმაც, ვისაც ზუსტ დიაგნოზს დღეს დაუსვამენ. როგორც უნდა იყოს, მუხლის მყესების დაზიანება მცირე ტრავმა არაა და მუჯირის 7 და 11 ოქტომბრის მატჩებში მონაწილეობის შანსი მცირეა.

შევიტყვეთ, რომ ამ მატჩებისთვის ტოპმიოლერი ნაკრებში დავით სირაძის გამოძახებაზე სერიოზულად დაფიქრდა. ტოპმიოლერს სირაძე არასდროს გამოუძახებია და, ვინძლო, ახლა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. სირაძის აუე-მ გუშინ მეორე ბუნდესლიგაში „ბურგჰაუზენთან“ სტუმრად 1:1 ითამაშა, ჩვენებურმა 90 წუთი დაყო მოედანზე.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

I წრე. 7 ტური

ზესტაფონი 2 0:1 გაგრა
რაჭა 0:2 მესხეთი
ამერი 2 2:1 ნ. დინამოელი
ჩიხურა 2 1:1 მერცხალი
სპარტაკი 1:0 დინამო 2
მგლები 1:0 მაღაროელი
ვიტ ჯორჯია 2 6:1 სამტრედია
გურია 1:3 მეშახტე
მეშაძრე 0:2 ოლიმპი

მგლები	7	6	1	0	10:1	19
მესხეთი	7	4	2	1	13:6	14
ნ. დინამოელი	7	4	1	2	10:6	13
სპარტაკი	7	4	0	3	8:6	12
ჩიხურა 2	7	3	3	1	8:5	12
დინამო 2	7	3	2	2	10:4	11
მეშახტე	7	3	2	2	11:9	11
ოლიმპი (თბ)	7	3	2	2	10:8	11
მეშაქრე	7	3	2	2	7:7	11
ვიტ ჯორჯია 2	7	3	1	3	16:7	10
გაგრა	7	3	1	3	10:6	10
მაღაროელი	7	2	2	3	8:8	8
მერცხალი	7	2	1	4	7:12	7
ამერი 2	7	1	4	2	8:10	7
ზესტაფონი 2	7	1	3	3	6:10	6
სამტრედია	7	1	3	3	11:17	6
რაჭა	7	1	1	5	7:20	4
გურია	7	0	1	6	4:19	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | I წრე. 7 ტური

ამერმა ძელებს ბოლოს სძლია

სულიკო დავითაშვილს მეთვალყურე არ ჰყავდა, მაგრამ საგოლე პასი მაინც გაჰკეთა

გიორგი დეკანოსიძის საჯარიმო დარტყმისას ბურთმა ორივე ძელი მოიკითხა

ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

მე-5 წუთზე გიზო ჯელაძემ ფლანგზე წააქცია ვლადიმერ უგრეხელიძე, არჩილ ალავიძემ კი უმახვილესი კუთხიდან ცაციით მოჭრა და ბურთი ზურაბ ქვაჩახიას თავს უკან აფართხალდა ბადეში — ასე დაწინაურდა ჩემპიონი „სიონი" ჩემპიონატის ლიდერთან. ბოლნისში თამაში რომ ძნელია, კი იცით და, მით უმეტეს, დებიუტშივე გოლის გაშვების შემდეგ...

ნამატჩევს ამერელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ სწორედ სწრაფი გოლის გაშვებაზე დაიჩივლა: „ერთი გამოკვეთილი ფორვარდით დავიწყეთ თამაში და უცაბედმა გოლმა სიტუაცია დაგვიმძიმა. პირველ ტაიმში დაველოდეთ, შესვენების შემდეგ კი შეტევა გავაძლიერეთ, გადაწყობა მოგვიხდა და გავათანაბრეთ. სამწუხაროა, რომ ქულები დავკარგეთ, მაგრამ შედეგი ლოგიკურია."

ჩიხრაძემ ალავიძის გოლზეც გაამახვილა ყურადღება, ჩემები გავაფრთხილე, რომ „სიონი" და განსაკუთრებით ალავიძე, კარგად ასრულებს სტანდარტულებს, მაგრამ მაინც ასეთი ბურთი გავუშვითო.

„ამერმა" ეგრევე სიჩქარე ჩართო და სწრაფადვე მოიპოვა უპირატესობაო, ვერ ვიტყვით, თუმც მე-11 წუთზე „სიონი" ბეწვზე გადარჩა: გიორგი დეკანოსიძის საჯარიმოდან გასროლილი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს და მინდორზე გამოგორდა — ისე, მინდია ბობლიაშვილმაც წაატანა ბურთს ხელი, თორემ გოლი იქნებოდა.

მალევე „სიონმა" აამუშავა სტანდარტული, თენგიზ სიჭინავას ჩაწოდებულს ბაჩანა ცხადაძემ თავით უცვალა გეზი და დავით ჭიჭველიშვილმა ახლო მანძილიდან ააცილა.

დაახლოებით 30-ე წუთიდან კი „ამერი" მასპინძელთა ნახევარზე დასახლდა, ცოცხალი თამაში გაჩაღდა და მართლაც არ მოიწყენდა გულშემატკივარი.

„სიონი" დაცვაში კარგად იდგა, კონტრშეტევებზე კი აქა-იქ იკბინებოდა და ამ მხრივ ისევ ალავიძე გამოირჩეოდა, რომელიც მარცხენა ფლანგზე რამდენჯერმე დაუსხლტა ამერელებს.

შესვენებაზე კი საინტერესო ცვლილებები მოხდა და ეგრევე გამოჩნდა, რა სცენარიც იქნებოდა მეორე ტაიმში. ჩიხრაძემ ინერტული ჯელაძე უფრო შემტევი დავით სევასტოპულოთი შეცვალა, „სიონმა" კი ფორვარდი ცხადაძე მოხსნა და დავით სვანიძე დააყენა საყრდენ ნახევარმცველად — შესაბამისად, ბოლნისელებს წინ მხოლოდ კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემი დარჩათ, რომელმაც, კლასისა რა მოგახსენოთ და, გაუთავებელი სირბილით „ამერის" მცველებს შეტევაში ჩართვის საშუალებას არ აძლევდა.

58-ე წუთზე ხარიხა დაეხმარა „სიონს" — დავით ბოლქვაძეს ოდნავ დაბლა რომ დაერტყა საჯარიმოდან... მალევე დეკანოსიძემ ააცილა შორიდან...

მოკლედ, „ამერი" მიაწვა და წუთში აქეთ გადარჩა: სწრაფი კონტრშეტევისას გიორგი კვიტაიშვილს ფეხით აუღო ქვაჩახიამ.

...და „ამერის" გამთანაბრებელიც: სულიკო დავითაშვილმა დერეფანი მონახა, საჯარიმოში შევარდა და თავზე დაასვა ბურთი სევასტოპულოს — 1:1.

ხომ იცით, ასეთ დროს როგორც ხდება: გამთანაბრებელი გუნდი იშტაზე მოდის და, სადაც წვრილია, იქ გაწყდესო... „ამერმა" იჟინა „სიონის" დაღლილობა და არეულობა, მძაფრ შეტევებს მიეძალა და ჯერ იმავ სევასტოპულოს, მერე კი შეცვლაზე შესულ რატი წინამძღვრიშვილს დააკლდათ სიზუსტე.

შთაბეჭდილება რჩებოდა, ხუთიათი წუთი რომ ყოფილიყო დრო, „ყვითლები" უთუოდ შეაგდებდნენ, მაგრამ...

ბოლნისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 700 (ტევადობა 4 000)

სიონი 1:1 ამერი

1:0 ალავიძე (5), 1:1 სევასტოპულო (80)	
სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭველიშვილი, რაქვიაშვილი, სიჭინავა, ვ. უგრეხელიძე (ფრიდოლინი 71), ლ. ბაჯელიძე, ა. ალავიძე (კვიტაიშვილი 56), ბ. ცხადაძე (სვანიძე 46), ჩასემი *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ქარდავა, ყრუაშვილი, ზ. ჭელიძე **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე	**ამერი:** ქვაჩახია, დიდავა, ხვადაგიანი (რ. წინამძღვრიშვილი 68), დავითნიძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე (სევასტოპულო 46), დოლიძე (დ. მჭედლიშვილი 79), ს. დავითაშვილი *სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი; გვაძაბია, გაბისკირია, ჩიკვილაძე **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე
გაფრთხილება: ჯელაძე (24), ჭიჭველიშვილი (83)	
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე, ვ. გუმბერიძე	
დამკვირვებელი: ბ. მჭედლიშვილი	

სათნოების სახლი

ვისაც ტორპედო ეჩხუბება, ბორჯომი ინახავს და აპურებს

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

„ტორპედომ" პირველივე შეტევა კინაღამ გოლით გაასრულა — ზვიად ჩხეტიანის გადაცემით ზურაბ მუშკუდიანმა ვერ იხეირა და ხელსაყრელი სიტუაციიდან კარს ააცილა.

მალე ისევ ზვიად ჩხეტიანის გადაცემა თამაშგარის ზღვარზე მყოფაგივი ჩხეტიანმა მიიღო, თუმცა მან დარტყმას გადაცემა ამჯობინა და მამუკა ღონღაძის დარტყმული კარის ხაზიდან დავით ბაქრაძემ გამოიტანა.

ამის შემდეგ ზვიად ჩხეტიანმა დაარტყა ძლიერად, თუმცა მეკარემ მოიგერია.

26-ე წუთზე კი ალოგიკური გოლიც გავიდა — მოედნის ცენტრში დავით გამეზარდაშვილი ცრუმოძრაობით ცდილობდა ბორჯომელთა ფორვარდ შოთა ჯიქიას ჩამოშორებას, მომხდურმა კი ბურთი აართვა და მეკარესთან პირისპირ გასულმა იხეირა — 0:1.

ტაიმის ბოლოს „ტორპედოს" შეეძლო გათანაბრება: გამეზარდაშვილმა ძლიერად და ზუსტად დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

მეორე ტაიმში „ტორპედო" კიდევ უფრო გააქტიურდა — თამაში ახალი განახლებული იყო, შეტევაში ჩართულ დავით გამეზარდაშვილის ორი მეტრიდან დარტყმული სასწაულებრივ რომ მოიგერია ბექა შეყრილაძემ.

იგრძნობოდა, რომ „ტორპედო" მაინც გაიტანდა და ასეც მოხდა: 48-ე წუთზე გიორგი გურულის კუთხურის შემდეგ კრასოვსკიმ თავურით გაათანაბრა — 1:1.

მალე გამეზარდაშვილმაც გაიტანა და ერთგვარი რეაბილიტაცია მოახერხა პირველ ტაიმში დაშვებული უხეში შეცდომის გამო — მისი დარტყმული ნიკოლოზ ლომიძეს მოხვდა და რიკოშეტით კარში აღმოჩნდა — 2:1.

თამაშის მიწურულს ზვიად ჩხეტიანი და კამერუნელი ოლივერ ნკემი შელაპარაკდნენ, რასაც ფეხბურთელებს შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა...

პრესკონფერენციაზე ბორჯომელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ ძალიან საინტერესო და სახალისო რამ თქვა: „ორ თვეში მესამე გუნდის გაკეთება მიხდება. მე პირობა დავაყენე, ან ეს არგენტინელები წავლენ გუნდიდან, ან მე წავალ-მეთქი. რაც შეეხებათ კამერუნელებს, ისინი ბოლნისის „სიონმა" ჩამოიყვანა, შემდეგ კი გუნდში აღარ აიყვანა. ახლა ჩვენ შევიფარეთ, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდათ და შიმშილით იხოცებოდნენ."

ქუთაისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 2:1 ბორჯომი

0:1 ჯიქია (26), 1:1 კრასოვსკი (48), 2:1 გამეზარდაშვილი (54)	
ტორპედო: კოდილაევი, ფარულავა, გამეზარდაშვილი, გოგია, ზ. ჩხეტიანი, ლალაძე (თ. უგრეხელიძე 58), გ. ჩხეტიანი, გურული, მ. ღონღაძე (დოლონაძე 31), ზ. მუშკუდიანი (კრასოვსკი 30), წიქარიშვილი *სათადარიგონი:* ქვილითაია, ნ. ნადირაძე, ბერუაშვილი, ჭედია **მწვრთნელი:** იური კვერნაძე	**ბორჯომი:** შეყრილაძე, ბენდელიანი, ავალიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ლომიძე, ნაკანი (ბ. ბაქრაძე 88), ლაზარაშვილი (კიკნაძე 73), თედიაშვილი, ნკემი, მოინგუე (გოგიჩაიშვილი 85), შ. ჯიქია *სათადარიგონი:* ჩაფიძე, ტალახაძე **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე
გაფრთხილება: ჯიქია (80), ნკემი (90), ზ. ჩხეტიანი (90)	
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ხუციშვილი, ვ. ელისაბედაშვილი	
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. თავაძე	

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი

I წრე. 7 ტურ

ზესტაფონი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 1:0 დინამო

1:0 ლონღაძე (64)

ზესტაფონი	დინამო
გ. ჭანტურია, საჯაია, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, ბ. ნოზაძე, ნ. კვასხვაძე (იმედაძე 81), ძამსაშვილი, განუგრავა, გ. ჭელიძე, ფიფია (გ. თურმანიძე 79), იონანიძე (ბუალავა 88)	ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ამბროზიო, ხმალაძე, გ. მერებაშვილი (ანგულო 84), ს. კობახიძე (აკობია 74), ბობოხიძე (ჯ. დვალი 40), ს. იაშვილი
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; ბ. გოცირიძე, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი	სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; ნერგაძე, კ. მახარაძე, ხუციშვილი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე	მწვრთნელი: დუშან უჭრინი

გაფრთხილება: ფიფია (45), ნავალოვსკი (55), დვალი (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ნ. რუსიშვილი, მ. ნაკაიძე, გ. კიკაჩეიშვილი

დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია; დირექტორი: მ. ნორაკიძე

მასალა ეროსი ეროსიელიძე ზესტაფონიდან

თემურ მახარაძე დინამოს შაკიკია

გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან

ბოლო ხანს „ზესტაფონი“ — „დინამოს“ დაპირისპირება ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ მატჩად იქცა და შაბათსაც მოჭარბებული ინტრიგა იგრძნობოდა ამ თამაშის ირგვლივ. ვინ ვის — გუნდში ხელახლა დაბრუნებული თემურ მახარაძე თუ „დინამოს“ ახალი ჩეხი თავკაცი დუშან უჭრინი? ამ ორი გამოცდილი მწვრთნელის ჭიდილში გამარჯვებული პირველი დარჩა და არც იყო გასაკვირი. ზესტაფონელთა თავკაცობისას მახარაძეს „დინამოსთან“ არ წაუგია, ეს ერთგვარად ტრადიციად იქცა და ვერც უჭრინმა გაახერხა რაიმე.

მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს მეტოქის გატეხვა და პირველივე წუთებში შტურმისმაგვარი მოაწყვეს. თუმც „დინამომ“ გაუძლო და ერთი ხანობა თამაში სათავისოდ წარმართა, ტაიმის შუახანს კი გატანაც მართებდა — გიორგი მერებაშვილის თავურისას ბურთს კარის ხაზზე მყოფი გიორგი ჭელიძე გადაეფარა და სიტუაცია განმუხტა.

რამდენიმე წუთში მერებაშვილმა მარჯვენა ფლანგზე მიხეილ ბობოხიძეს შეუქმნა ღირებული მომენტი, მაგრამ მან კარის გასწვრივ უზუსტო გადაცემა ამჯობინა კარში დარტყმას. წუთიც და, სანდრო იაშვილმა საჯარიმოს წინ გამოსულ გრიგოლ ჭანტურიას ბურთი კი გადაავლო თავზე, თუმც ხელმეორედ ცარიელ კართან ამხტარს ედიკ საჯაიამ შეუშალა ხელი. პენალტი? ლევან ფანიაშვილმა დუმილი ამჯობინა და ალბათ სწორადაც მოიქცა.

არ იფიქროთ, იმერული კლუბი გულხელდაკრეფილი ყოფილიყო. ბურთი უფრო ხშირად მასპინძლებისა იყო, მაგრამ საჯარიმოში შესვლა უჭირდათ. შორეული დარტყმები კი გიორგი ლორიასთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა.

32-ე წუთზე გურამ კაშიას შეცდომა კინაღამ გოლად აქცია გოგი ფიფიამ — საჯარიმოს მისადგომებიდან დაბალი, არცთუ ძლიერი დარტყმისას ბურთი ძელმა აისხლიტა.

ამის შემდეგ მახარაძის სამწყსო დომინირებდა და ასე გაგრძელდა მატჩის ბოლომდე.

მეორე ტაიმამდე საგულისხმო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ბობოხიძის ტრავმას, რომელსაც ნამატჩევს უჭრინი გადამწყვეტ ფაქტორს უწოდებს და უკვე შესვენებაზე გასახდელისკენ მიმავალ ფიფიას გაფრთხილებას, რომელმაც მსაჯთან კამათისთვის დაიმსახურა ყვითელი ბარათი.

თამაში განახლდა და აშკარად იგრძნობოდა, რომ მასპინძლები უფრო მობილიზებულები იყვნენ — ყველა ორთაბრძოლაში ჯაბნიდნენ მეტოქეს და გაცილებით სწრაფად ირჯებოდნენ. სწორედ ეს გამოდგა გადამწყვეტი, რადგან შუა ხაზში უფრო აგრესიული თამაშის ხარჯზე ზესტაფონელებმა მალე ერთადერთი გოლიც გაიტანეს. ჯაბა დვალმა სათანადოდ ვერ შეცვალა ბობოხიძე და შეტევაში სუსტად გარჯის გარდა 63-ე წუთზე მოედნის ცენტრში ბექა ნოზაძის წაქცევისთვის ჯარიმა და გაფრთხილება აიკიდა. სწორედ ამ ეპიზოდს მოჰყვა გოლი: ფიფიამ ჯარიმა შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, ტანმაღალმა ლორიამ ტრაექტორია ვერ გათვალა და იქ დადარაჯებულმა შალვა ღონღაძემ თავით საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა — 1:0.

ამ გოლმა „ზესტაფონს“ ფრთები შეასხა და მისი უპირატესობაც უფრო თვალსაჩინო გახდა. ხუთიოდ წუთში „დინამო“ მეორე გოლს გადაურჩა. იმავ ფიფიამ, რომელიც საუკეთესო იყო, საჯარიმოს რკალთან ზურაბ იონანიძე მოძებნა, „იონამ“ კი ორ მცველთან ჭიდილში ჩინებულად შეიყოლა ბურთი საჯარიმოში — ლამაზი ეპიზოდი ვარდნაში უზუსტო დარტყმით დასრულდა.

დაახლოებით ასეთი შანსი მატჩის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე იაშვილსაც ებოძა. ისიც ფინტებით გასცდა ორ მცველს და კარშიც ძლიერად დაარტყა, თუმც ბურთმა ხარიხა შეაზანზარა.

ეს იყო და ეს, დარჩენილ წუთებში მხოლოდ მასპინძლებს გამოსდიოდათ თამაში და უფრო რომ მოენდომებინათ, იქნებ ანგარიშში სხვაობაც გაზრდილიყო...

ბექა ნოზაძის „ზესტაფონმა“ ოსიმარ ამბროზიოს „დინამოს“ ამჯერადაც სძლია

მასალა ეროსი ეროსიელიძე ზესტაფონიდან

პრესკონფერენცია

დუშან უჭრინი: ძალიან საინტერესო მატჩი გამოდგა, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, როცა თანაბარი ბრძოლა იყო. ბობოხიძის ტრავმამ პრობლემები შეგვიქმნა, დვალმა კი ის ჯეროვნად ვერ შეცვალა. მეტოქე უკეთესი იყო და დამსახურებულადაც იმარჯვა.

თემურ მახარაძე: დიდი მადლობა ყველას ასეთი მხარდაჭერისთვის. „დინამოსთან“ მოგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდი საქმეა. დაძაბული მატჩი იყო და ბიჭებმა ყველაფერი იღონეს მოსაგებად.

ბათუმისთვის ყენია საწყენია

თბილისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი 1:0 ბათუმი

1:0 ყენია (8)

კახა შალამბერიძე

ზედიზედ მეორე მატჩია, „ლოკომოტივის“ საშინაო თამაშზე მომიხდა დასწრება და ზედიზედ მეორედ შევეჩეხე ერთსა და იმავე პრობლემას — „მიხეილ მესხზე“ არ აღმოჩნდა ისეთი კაცი, ვინც პრესლოჟაში მჯდომი ჟურნალისტისთვის მოიცლიდა და მატჩის ოქმს მიაწვდიდა.

როცა პირველად მოხდა ასეთი რამ, არ გავბრაზებულვარ, ჩავთვალე, რომ მასპინძლებს რაღაც პრობლემა შეექმნათ და გუნდების შემადგენლობები სხვა გზით მოვიპოვე... გუშინწინ კი „მიხეილ მესხზე“ მისულს იგივე ვითარება დამხვდა — ლაპარაკია ელემენტარულ ყურადღებაზე. თუმც ამას ყურადღებასაც ვერ დავარქმევთ, ეს ხომ კლუბის მოვალეობაა...

იმედია, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა ყველაფერს გაითვალისწინებს და მომავალში მსგავს სისულელეებზე წერა არ მომიწევს...

ახლა თამაშზეც. „ლოკომოტივი“ და „ბათუმი“ დაახლოებით თანაბარი დონის გუნდები არიან და მათი შეხვედრა საინტერესო უნდა ყოფილიყო, თუმცა ასეთი სანახაობრივი თუ გამოდგებოდა, ნაღდად ვერ ვიფიქრებდი.

ახალგაზრდა მასპინძლები უფრო ენერგიულები, გამარჯვებისთვის მომართულები იყვნენ და ბოლო წუთამდე ეომნენ ზღვისპირელებს.

მატჩის დასაწყისი „ლოკომოტივისა“ იყო. თბილისელებმა თავიდანვე ჯიქურ შეუტიეს მეტოქეს და მოუსვენარმა ლევან ყენიამაც მე-8 წუთზე დააწინაურა თავისიანები. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი ყენია ერთადერთი თავდამსხმელი იყო მასპინძელთა გუნდში, თუმცა ამით „ბათუმის“ დაცვას პრობლემები სულაც არ მოჰკლებია — ლევანს მუდმივად დაძაბული ჰყავდა მოწინააღმდეგე.

პირველ ტაიმში აქეთ-იქით რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ისეთი არა, უეჭველად საგოლე რომ ეთქმის.

დაიწყო მეორე ნახევარი და „ლოკომოტივსაც“ საქმე ძალიან გაურთულდა — 47-ე წუთზე მსაჯმა მეორე ყვითელი უჩვენა ნიკა გუშარაშვილს და გააძევა. ბათუმელებმაც შეუტიეს კაცნაკლულ მეტოქეს, თითქოს გოლის გატანასთანაც ახლოს იყვნენ, თუმც... ვერც გამთანაბრებელი გაიტანეს და ვერც თბილისელთა უმწვავეს და უსწრაფეს კონტრშეტევებს მოუხერხეს რამე. „ლოკომოტივი“ მყის გადადიოდა მოედნის ცენტრს და მერე ხან ვინ ანიავებდა მომენტს და ხან ვინ.

„ბათუმს“ არც ბოლო შტურმი გამოუვიდა. მისი შემტევებისთვის რკინიგზული დაცვის გავლა მეტად ძნელი ამოცანა გამოდგა და „ლოკომოტივმაც“ დამსახურებული სამი ქულა ჩაიჯიბა.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი

I წრე. 7 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი განმარტება ლექსიკონში

ოლიმპი მთა კი არა, ტყვიამფრქვევია

გიორგი კახელიშვილს ვიტჯორჯიელებმა ვერაფერი მოუხერხეს

რუსთავი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი. 1 000 (ტევადობა 12 000)

ოლიმპი 4:0 ვიტ ჯორჯია

1:0 კახელიშვილი (33), 2:0, 3:0 ქებაძე (37, 42), 4:0 სირბილაძე (45)

ოლიმპი: მ. ალავიძე, სირბილაძე, ქებაძე, სეთურიძე, აფციაური (ხოჯავა 46), დვალიშვილი, რ. ონიანი, მახვილაძე, ხუბუა, ხოხონიშვილი (გ. ონიანი 67), კახელიშვილი (გეწაძე 75)	**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ბ. დათუნაიშვილი, ადამაძე, დ. ლომაია, გველესიანი, გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი, დიღმელაშვილი, ზ. სახოკია, გელაშვილი (კვაღინაძე 76), ღუჭაშვილი (ბერიაშვილი 72)
სათადარიგონი: ნაჭყეპია; გ. თოდუა, ვ. კვარაცხელია, მიქიაშვილი	*სათადარიგონი:* მიქაბერიძე; მელქაძე, ჯაფარიძე, ლ. რაზმაძე
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე	**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ფეიქრიშვილი (24), ხუბუა (25), ხოხონიშვილი (53)

მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე, გ. ჩიგოგიძე, თ. ხუჭუა

დავით თავართქილაძე რუსთავიდან

შვიდი წაუგებელი თამაში და არც ერთი გაშვებული გოლი — რუსთავის „ოლიმპი“ ცხრილის კენწეროში მოკალათდა — საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა.

„ოლიმპის“ ფეხბურთელებს ალბათ მწვრთნელისგან ჰქონდათ დავალებული, „ვიტ ჯორჯიას“ მცველებს ბურთი ზურგსუკან ხშირ-ხშირად გადაუგდეთო. ყოველ შემთხვევაში, „ოლიმპი“ ამ უბრალო, მაგრამ ეფექტური ხერხის გამოყენებას პირველ ტაიმში ნიადაგ ესწრაფვოდა და მიზანსაც მიაღწია — პირველი ორი გოლისას „ოლიმპმა“ მეტოქე ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა — სწორედ ეს ორი გოლი გამოდგა გარდამტეხი და „ვიტ ჯორჯიას“ გამტეხი.

პირველი ტაიმის უმეტესი ნაწილი თითქმის თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ოლიმპელები გიორგი კახელიშვილის ფლანგური გარღვევებით ამწვავებდნენ თამაშს. კახელიშვილმა ჯერ ძალიან სახიფათოდ გაგზავნა ბურთი კარის გასწვრივ, შემდეგ თავად სცადა გატანა, მაგრამ დარტყმა ძლიერი არ გამოუვიდა.

შეტევაში არც „ვიტ ჯორჯია“ იყო უქმად. სტუმართაგან ზაზა სახოკია გამოირჩა, მთელი 90 წუთი მოსვენებას არ აძლევდა „ოლიმპის“ დაცვას, საგოლე შანსი კი პირველ ტაიმში ჰქონდა — გიორგი ფეიქრიშვილის პასით მიხეილ ალავიძესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმც ვერ აჯობა.

ამის მერე ისევ კახელიშვილი დაემუქრა „ვიტ ჯორჯიას“ — მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი მარჯვენა მახვილი კუთხიდან ძელს შეაწყვიტა.

არც „ვიტ ჯორჯია“ დარჩა ვალში — ნიკა გელაშვილი, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა ალავიძესთან და ხარიხას გადაავლო ბურთი.

ამის შემდეგ კი „ოლიმპმა“ გაილაღა, თითქოს ტყვიამფრქვევის ჯერი მიუშვა მეტოქეზე, „ვიტ ჯორჯიას“ დაცვა ბევრგან დაიხვრიტა. ვიტელთა მცველებს ჯერ ლადო დვალიშვილი გაეპარათ, რომელმაც მარცხნიდან უპასა კახელიშვილს და 1:0.

რამდენიმე წუთში თორნიკე აფციაურის პასით „ვიტ ჯორჯიას“ დაცვა ერთხელაც დაიბნა ბრინჯივით — ლაშა ქებაძისა და გრიგოლ ბედიაშვილის დუელი ოლიმპელის გოლით დასრულდა — 2:0.

შოკში ჩავარდნილ სტუმრებს მასპინძლებმა არც ეს აკმარეს, დვალიშვილი ერთხელაც გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, ქებაძეს უზუსტესად გადააწოდა და 3:0.

მესამე გაშვებულმა გოლმა „ვიტ ჯორჯია“ თითქოს გამოაფხიზლა. ჯერ იყო და, დავით დიღმელაშვილის შორეული დარტყმა მოიგერია ალავიძემ, მერე გიორგი დათუნაიშვილმა თავურით ვერ გაისწორა მიზანი. ცოტა ხანში ვიტელებმა მართლაც ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც მოხდენილი დარტყმით დაასრულა ფეიქრიშვილმა, მაგრამ ალავიძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი და...

შეტევაში გართული „ვიტ ჯორჯია“ „ოლიმპმა“ მეოთხედ დაამწუხრა — ისევ დვალიშვილი მარცხნიდან, ისევ კახელიშვილი მარჯვნიდან, ისევ მორღვეული ვიტელთა დაცვა და სირბილაძემ ცარიელ კარში მიუჩინა ბურთს ადგილი.

შესვენების შემდეგ, აბა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ვიტელებს თამაში შემოებრუნებინათ. თუმც პრესტიჟის გოლის გატანისთვის „ვიტ ჯორჯია“ მონდომებას არ იშურებდა, სახოკია კვლავაც აქტიურობდა მარჯვენა ფლანგზე და მისი პასით ბერიაშვილს შეეძლო ალავიძისა და „ოლიმპის“ მშრალი სერიის შეწყვეტა, მაგრამ მეკარის საასწაულმა რეაქციამ და ნახტომმა ბურთი კარში არ შეუშვა.

ფეხბურთელებს შორის მსგავსი ინციდენტი თამაშის შემდეგაც მოხდა

მიხეილ ალავიძემ ზედიზედ მეშვიდე მატჩში შეინახა კარი

ფოტოები დავით ბაბუაიშვილისა

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 7 ტური

იყო თუ არა იყო რა შევარდენზე

თბილისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი. 200 (ტევადობა 1 500)

მერანი 0:0 ჩიხურა

მერანი: სეფიაშვილი, სულაქველიძე (კვარაცხელია 64), თურქია, თ. მჭედლიშვილი, სარალიძე, ბურჯანაძე, ფურთუხია, ბესარაშვილი, ხურცილავა, გაგუა (ლ. მანწკავა 59), ქემაშვილი (ცისკარაული 59) *სათადარიგონი:* გლუნჩაძე, დათუნაშვილი, ნეფარიძე, ჯანგიძე **მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი	**ჩიხურა:** მამალაძე, მემარნიშვილი (ხაჭიპერაძე 71), ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, თედორაძე, ლ. ვაშაკიძე (თავბერიძე 71), შ. ჩომახიძე, ეგაძე (სულთანიშვილი 66), ჩხაიძე, კალაძე, მიქაძე *სათადარიგონი:* დოლაძე, ბრეგვაძე, სტეფანიშვილი, ბუცხრიკიძე **მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

გაფრთხილება: ბურჯანაძე (63)

მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. მენთეშაშვილი, დ. სანოძე, ა. გუნთაძე

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე

მიხეილ კაკალაძეს „მერანის“ კარი ეკერგება

ვაჟა ხუციშვილი

იყო თუ არა პენალტი და შეეხო თუ არა ხელით ეგაძე... მალხაზ მაისურაძეს? ეს ამბები ირჩეოდა ნამატჩევს „შევარდენზე“.

მეორე ტაიმის შუაში მოხდა ის, რამაც შემდეგ კამათი გამოიწვია. „ჩიხურა“ მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, როცა საჯარიმოსკენ ჩაწოდებული ბურთი კვარაცხელიას ხელზე მოხვდა. სტუმრები ამტკიცებდნენ, რომ „ხელბურთი“ საჯარიმოს შიგნით იყო, მაისურაძემ კი გვერდით მსაჯთან კონსულტაციის შემდეგ დაადგინა, რომ გარეთ იყო და ჯარიმა დანიშნა. მოსაუბრე მსაჯების დამნახავმა კვარაცხელიამ იფიქრა, პენალტს ნიშნავენო და მათკენ იქაჩებოდა, მაგრამ თანაგუნდელებმა დააშოშმინეს.

თამაშის დასრულებისთანავე მაისურაძის ბრიგადამ ხვიჩა ქასრაშვილის პრეტენზიებიც მოისმინა და გასახდელისკენ წავიდა. სწორედ ამ დროს გაიწია მათკენ გაბრაზებულმა ეგაძემ და შეეხო თუ არა მთავარ მსაჯს ხელით, ამას ალბათ ისინი გაარკვევენ, ვისაც ევალება.

„მერანს“ აქამდე შინ ქულა არ აელო და ეს მოახერხა, მაგრამ კვლავაც ერთადერთ გუნდად რჩება, საკუთარ მოედანზე გოლი რომ არ გაუტანია. ხოლო „ჩიხურამ“ ნავსი გატეხა და სტუმრად ქულა მიითვალა, არადა, იმდენი საგოლე მომენტი ჰქონდა, ორ-სამ მატჩს ეყოფოდა. ხან ჩიხურელი ფორვარდების უნიათობისა, ხან კი სეფიაშვილის ყოჩაღობის გამო „მერანმა“ კარი მშრალად შეინახა.

მე-3 წუთზე კაკალაძემ ათიოდ მეტრიდან ძლიერად დაარტყა და მეკარემ მოიგერია, მომდევნო ეპიზოდში კი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მერებაშვილმა საშინელი ძალით დაჰკრა თავი, სეფიაშვილმა განძრევაც ვერ მოასწრო, მაგრამ იღბალი მის მხარეს იყო და ბურთმა ძელთან ჩაიფრინა.

ტაიმის შუაში ისევ კაკალაძეს შეეძლო გატანა. ცენტრიდან ბურთიანად საჯარიმოში შესულს ორი მცველი წამოეწია და თითქოს წაართვეს კიდეც ბურთი, მაგრამ ფორვარდმა შეინარჩუნა და მარცხენა დაბალ კუთხეში დაუმიზნა — სეფიაშვილს გვარიანად გაწელვა დასჭირდა მოსაგერიებლად. წუთში: მემარნიშვილმა მარჯვნიდან მიქაძეს მიაწოდა, რომელმაც მეკარისგან ექვსიოდ მეტრში, ადგილზე, ორი მცველი დატოვა უსაქმოდ (ერთს ბურთი თავზე გადაატარა) და მიწაზე დაუშვებლად დაარტყა — ისევ სეფიაშვილმა იყოჩაღა და ამჯერად ფეხით მოიგერია.

მოგვიანებით სარალიძეს ბურთი ფეხიდან აეჭრა და კინაღამ თავის კარში გაიტანა. ეს ეპიზოდი კუთხურს მოჰყვა და აქაც იღბალმა სეფიაშვილს არ უღალატა. სარალიძის ფეხისგან ბურთი ხარიხას მაშინ მოხვდა, როცა „მერანის“ მეკარე უკვე იწვა. ხარიხიდან დაბრუნებული კი თავით ისევ სარალიძემ გამოიტანა საჯარიმოდან.

მოკლედ, ნახევარი საათის განმავლობაში „ჩიხურამ“ გვარიანად აწრიალა მასპინძლები, რომლებიც ვერაფრით პასუხობდნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „მერანი“ რატომღაც უფორვარდოდ თამაშობდა. გაგუა, ქემაშვილი, ბურჯანაძე და ხურცილავა ცდილობდნენ, რამე შეექმნათ, მაგრამ მათი ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. „ჩიხურას“ დაცვას მეტოქის უფორვარდობა საქმეს ერთი-ორად უიოლებდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და სეფიაშვილი ისევ ააფორიაქეს ჩიხურელებმა. კაკალაძემ მეკარის ბაქნის კუთხიდან დაარტყა და თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ სეფიაშვილმა სასწაულებრივ მოიგერია. წუთის მერე კვლავ კაკალაძეს შეეძლო გატანა და ააცილა, ხოლო მოგვიანებით მიქაძემ ხუთი მეტრიდან მიუცაცუნა ბურთს და ისიც მეკარის ნადავლი გახდა.

დაახლოებით 70-ე წუთიდან „ჩიხურას“ დაღლა დაეტყო, უპირველესად კი ეს ნახევარდაცვაზე ითქმის, რადგან „მერანი“ ისე იოლად მიდიოდა მეტოქის საჯარიმოსთან, რომ წინააღმდეგობას არ აწყდებოდა. შეცვლაზე შესულმა მანწკავამ და ცისკარაულმა მასპინძელთა შეტევები გაამძაფრეს და ბოლო ოც წუთში უკვე ისინი გახდნენ მოედნის ბატონ-პატრონები, მაგრამ რად გინდა — ხან არაზუსტად, ხან კი სუსტად ურტყამდნენ.

23 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მე-7 ტურის მატჩი თბილისის „მერანსა“ და საჩხერის „ჩიხურას“ შორის. თამაშის შემდეგ საჩხერული გუნდის წარმომადგენლებმა (მთავარი მწვრთნელის ხ. ქასრაშვილის გარდა) გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ მეორე ტაიმის შუაში მათ სასარგებლოდ მსაჯმა არ დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა.

სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების მიერ ოპერატიულად იქნა მოწვეული საგანგებო კომისია, რომელმაც განიხილა აღნიშნული მატჩის ვიდეოფირი.

კომისიამ დაადგინა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ეროვნული კატეგორიის არბიტრმა მ. მაისურაძემ და სადავო მომენტთან ახლო მყოფმა ფიფა-ს ასისტენტმა ზ. მენთეშაშვილმა მიიღეს სამართლიანი გადაწყვეტილება, როდესაც დანიშნეს საჯარიმო დარტყმა „მერანის“ კარის მიმართულებით, ვინაიდან ფირზე ნათლად ჩანს, რომ „მერანის“ ფეხბურთელის ხელით კონტაქტი ბურთთან ხდება საჯარიმო მოედნის ხაზს გარეთ.

სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება

თელავი. 23 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი. 1 200 (ტევადობა 6 000)

კახეთი 2:2 დილა

1:0 არუდაშვილი (59), 1:1 ნოზაძე (70), 2:1 არუდაშვილი (76), 2:2 ვაჩეიშვილი (87)

კახეთი: ცინაძე, ტარუღაშვილი, ლომიძე, მაღლაკელიძე, კობაიძე, იმერლიშვილი (ბიძინაშვილი 71), ნ. დავითაშვილი (ამირანიძე 81), კევლიშვილი, სოსელია, არუდაშვილი, სიხარულიძე (ტეტიაშვილი 60) *სათადარიგონი:* ჩახუტაშვილი, მურველაშვილი, ცისკარიშვილი, ბედოიძე **მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი	**დილა:** ილურიძე, გ. ლომიძე, კობახიძე, ბალიაშვილი, კურტანიძე, ვაჩეიშვილი, აბრამიშვილი (ვარდოსანიძე 46), სადალაშვილი (თაყაძე 64), ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, გ. წინამძღვრიშვილი *სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი, მძინარიშვილი **მწვრთნელი:** რევაზ მამესწარაშვილი

გაფრთხილება: სიხარულიძე (53), ტლაშაძე (62)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. გურგენიძე, ლ. თოდრია, ო. ხეცაძე

ანდაზებიდან ტრანსპარანტამდე
თელავმა მახარაშვილს წასვლა შეუძახა

გიორგი კაციტაძე თელავიდან

„გივი ჩოხელზე“ მაყურებელთა რაოდენობა ტურიდან ტურამდე იკლებს. გულშემატკივართა შორის უკვე გაჩნდა აზრი, მომდევნო თამაშზე მოვიდნენ ტრანსპარანტებით „ჯემალ, წადი!“ ზოგიერთი ამ თამაშზეც ყვიროდა, „წადი, ჯემალ, წადიო!“

ჯემალ მახარაშვილი

არავინ იცის, რა დღეში იქნებოდა „კახეთი“, ვასილ არუდაშვილი რომ არ ჰყავდეს — შაბათს ის მთელმა სტადიონმა ტაშით დააჯილდოვა.

მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო. შეიძლება ითქვას, პირველ ათ წუთში გუნდებმა ერთმანეთი დაზვერეს. მერე კი მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობა გამოიკვეთა. გოლის გატანის რამდენიმე შანსი ჰქონდა მიხეილ სოსელიას, ხან სტანდარტული მდომარეობიდან, ხანაც — მეკარესთან პირისპირ გასვლისას...

28-ე წუთზე იმერლიშვილის შორიდან დარტყმული სტუმართა მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

მასპინძლები მთელ მოედანზე დომინირებდნენ.

34-ე წუთზე არუდაშვილი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ თამაზ ილურიძემ იყოჩაღა, გამოსვლაზე დაასწრო და ბურთი მოიგერია. იქვე სიხარულიძემ დაამატა, მაგრამ ცარიელ კარში ვერ შეაგდო.

მეორე ტაიმიც თელაველთა უპირატესობით დაიწყო. შეტევას შეტევაზე ქმნიდნენ მასპინძლები და 59-ე წუთზე გოლითაც გაიხარეს — მარჯვენა ფლანგიდან კევლიშვილის ჩაწოდებულს არუდაშვილმა საგოლე მიაყოლა — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ გორელები გააქტიურდნენ და ამან შედეგი 70-ე წუთზე გამოიღო. ნოზაძემ შორეული ძლიერი დარტყმით გაუტანა ცინაძეს — 1:1.

თელაველები არ დაიბნენ და ექვსიოდე წუთში ისევ დაწინაურდნენ. ეს გოლი პირველის მსგავსი აღმოჩნდა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლა უკვე მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა დავითაშვილმა და, რა თქმა უნდა, ისევ არუდაშვილმა იხეირა — 2:1.

ტაიმის ბოლოს ნოზაძემ ჯარიმიდან დაარტყა, ბურთი ცოცხალ კედელში აიბლანდა და ვაჩეიშვილსაც მეტი რაღა უნდოდა — 2:2.

პრესკონფერენცია

რევაზ მამესწარაშვილი: როგორც ნახეთ, ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს და გვინდა, ამ გუნდით უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. ამის იმედი გვაქვს. შეიძლება ითქვას, უპატრონო გუნდი ვართ, მაგრამ როგორც რაიონის ხელმძღვანელობა გვპირდება, სიტუაცია უნდა გაუმჯობესდეს. ვნახოთ, რა იქნება...

ჯემალ მახარაშვილი: ალბათ მაინც მისალოცია გორელებისთვის ეს ერთი ქულა. ჩვენი საქმე კი ასეა: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“.

ოლიმპი	7	6	1	0	18:0	19
ამერი	7	6	1	0	13:2	19
ზესტაფონი	7	4	2	1	8:3	14
ვიტ ჯორჯია	7	4	2	1	12:8	14
ტორპედო	7	4	2	1	7:3	14
დინამო	7	4	0	3	12:6	12
სიონი	7	3	1	3	8:7	10
ლოკომოტივი	7	2	2	3	6:9	8
მერანი	7	2	2	3	6:10	8
ჩიხურა	7	1	3	3	4:8	6
ბათუმი	7	1	2	4	5:7	5
ბორჯომი	7	1	1	5	8:16	4
დილა	7	0	2	5	4:18	2
კახეთი	7	0	1	6	7:21	1

გავიმარჯვოთ გუანჯოუში!

ჯერ კლასიკურად, შემდეგ თავისუფლად

დღეს ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში დიდი საჭიდაო კვირეული იწყება — ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მიმდევრები მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეებს გამოავლენენ. საქართველოს ნაკრებები ჩინეთში ერთი კვირის წინ ჩავიდნენ და დასკვნითი შეკრებაც იქვე გაიარეს.

პირველად არენა ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. ბეგი დარჩიას შვიდეული სამ დღეში მოილევს საქმეს. დღეს პირველი სამი წონა იჭიდავებს. 55 კილოგრამში საქართველოს სახელით ირაკლი ჭოჭუა გამოვა, 60-ში — დავით ბედინაძე, ხოლო 66-ში — ლაშა ლომაძე. მანუჩარ კვირკველია (74კგ), ბადრი ხასაია (84კგ) და რამაზ ნოზაძე (96კგ) ხვალ გავლენ ხალიჩაზე, რევაზ ჭელიძე (+120კგ) — ზეგ. ზეგვე დაიწყებენ ზაზა თურმანიძის ბიჭები. აქვე გთავაზობთ მათ გრაფიკსაც: 27 სექტემბერი — ბესიკ გოჩაშვილი (55კგ) და დავით პოღოსიანი (60კგ); 28 სექტემბერი — ოთარ თუშიშვილი (66კგ), გელა საღირაშვილი (74კგ) და რევაზ მინდორაშვილი (84კგ); 29 სექტემბერი — გიორგი გოგშელიძე (96კგ) და ლუკა კურტანიძე (+120კგ).

შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველმა ბერძენ-რომაელებმა უმედლოდ მოიარეს. წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მაშინ ტრავმიანობა დასახელდა. გუნდის ლიდერი რამაზ ნოზაძე შემადგენლობაში საერთოდ არ იყო. ახლა ჩვენი ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონიც მწყობრშია და ჯანმრთელობის მხრივ პრობლემაც არავის აწუხებს. ოპტიმალური შვიდეული რომ შეკრიბა, დარჩიამ ამის შესახებ ჩინეთში წასვლამდე განაცხადა.

თურმანიძის ბიჭებმა კი წინა მსოფლიოდან სამივე სინჯის თითო მედალი ჩამოიტანეს. ჩემპიონი მინდორაშვილი, ვიცე-ჩემპიონი კურტანიძე და ბრინჯაოსანი თუშიშვილი ახლაც საბრძოლოდ არიან შემართულნი. მათ გარდა კვარცხლბეკზე ასვლას ყველაზე მეტად გოგშელიძისგან ველით, თუ ხერხემლის ქრონიკულმა ტრავმამ არ შეახსენა თავი. სიახლეა 66-კილოგრამში. ევროპის ჩემპიონ დავით პოღოსიანს საქართველოს ნაკრების სახელით დიდ ტურნირზე ათენის ოლიმპიადის შემდეგ არ უჭიდავია.

ჩინეთი ოთხი საათით გვისწრებს და წინასწარი შეხვედრები ჩვენებურად დილის რვა საათზე დაიწყება. მედლებისთვის ბრძოლას შერჩენილები კი ხალიჩაზე სამი საათიდან გავლენ.

ოთარ გალლაკელიძე



AFP

იოკოძუნა თვრამეტიანია

ჯოჯაიმ ჯომუსუბობა გაიხანგრძლივა

სეზონის მეხუთე, ბოლოსწინა ბაშო ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ დადებითი ბალანსით — კატიკოსით დაასრულა. დასავლეთის კომუსუბად წოდებულმა კოკაიმ გადამწყვეტი, მერვე ქულა ფინიშამდე ერთი დღით ადრე აიღო თავისზე მაღალრეიტინგიანი დევკაცის, სეკივაკე კოტომიცუკის ძლევით. ბოლო ტურში კი ჩვენებურს ორქულიანი დადებითი ბალანსი ამინისიკიმ მინიმუმამდე შეუმცირა.

„იმპერატორის თასის“ ბედიც ბოლოსწინა დღეს გადაწყდა. თასის ჩვიდმეტგზის ამწევმა, თანამედროვეობის უდიდესმა სუმოისტმა ასასიორუმ მეთვრამეტედ იჩემპიონა. ოცდამეერთე საუკუნის პირველმა და ერთადერთმა იოკოძუნამ ხალიჩაზე გასვლამდე შეიტყო ახალი ამბავი — რიგითმა მაეგაშირა ამამ ოძეკი ტოჩიაძუმასთან წაიფორხილა და კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვების თეორიული შანსიც დაკარგა.

ვადამდელმა ჩემპიონობამ მონღოლი „ცისფერი დრაკონი“, როგორც ჩანს, ოდნავ მოადუნა. ოძეკი ტიოტაიკაის სწრაფად კი ეკვეთა და თითქოს ხალიჩის პირითი ხაზიდანაც გადაიყვანა, მაგრამ მოულოდნელად კონტრილეთზე წამოეგო და დაეცა. გამარჯვებულის გამოსაცხადებლად მსაჯთა ხუთეულის შეკრება და მომენტის გაანალიზება გახდა საჭირო. ქულა ტიოტაიკაის მიანიჭეს.

ბოლო ტურში იოკოძუნას კიდევ ერთი უმძიმესი ბრძოლა გადახდა, ამჯერად ოძეკი ხაკუხოსთან. წინა დღის უიღბლობა რომ აღარ ვახსენოთ, ხაკუხოსთან ასასიორუს პირადი ანგარიშიც ჰქონდა გასასწორებელი. წლეულს ხომ ლამის გადაულახავ ზღუდედ ექცა — იანვრის, მარტისა და ივლისის ბაშოებზე ოძეკიმ იმარჯვა. სექტემბრის ბაშოს ბოლო ტურის დამაგვირგვინებელი შეხვედრაც საოცრად დაძაბული გამოდგა. ნახევარწუთიანი ჯავგურის შემდეგ მონღოლი დიდკაცები ერთად გადაცვივდნენ ხალიჩიდან. მსაჯებმა გამარჯვებულად შეტევაში მყოფი ასასიორუ გამოაცხადეს.

დიდი სუმოს სეზონს ნოემბრის ბაშო დახურავს. იქამდე კი უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში ალბათ წოდებრივი გადაადგილებები მოხდება. ამ საკითხზე კონკრეტული საუბარი ჯერ ადრეა. ერთის თქმა კი უკვე ნაღდად შეიძლება — კოკაი მომავალ ბაშოზეც კომუსუბის რანგში იჭიდავებს.

ოთარ გალლაკელიძე

არც ამერიკა, არც რუსეთი

AFP სან ანტონიოდან

ოზი ქალები მსოფლიოს ზემოდან მოექცნენ

ქალთა მსოფლიო კალათბურთს ახალი ჩემპიონი ჰყავს. ბრაზილიაში ჩათამაშებული მსოფლიო პირველობის ფინალში ავსტრალიელმა გოგონებმა რუსები დასცეს და პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. აქამდე ისინი სიდნეისა და ათენის ოლიმპიადების ვერცხლის მედლით იწონებდნენ თავს, რომლებიც ამერიკელ ქალებთან წაგებულ ფინალებში შეხვდათ, ახლა კი მათ დიდრონი ტიტული უმაგრებთ ზურგს.

თანამედროვე ქალთა კალათბურთში რუსები ავსტრალიელებზე უკეთეს გუნდადაც ჩითვლებიან, თუმც მათ, ჩანს, მთელი ენერგია ამერიკელებთან მოგებულ ნახევარფინალში დატოვეს და ოზებთან აღარაფერი შერჩათ. ავსტრალიამ მთავარი თამაში დამჯერებლად მოიგო — 91:74.

ფინალი არეულად დაიწყო. რუსები 9:2 დაწინაურდნენ, მაგრამ ოზმა ჯენი ვაიტმა ზედიზედ 3 ბურთი ჩააგდო და სლავებს ლიდერობა ჩამოართვა. რუსთა ლიდერმა მარია სტეპანოვამ ორიანით კვლავ წინ წასწია თავისიანები — 11:10. თუმც აქ ოზთა ლიდერმა პენი ტეილორმა სამქულიანი დააქუხა. იგორ გრუდინის შეგირდებმა ერთხელაც იძალეს და 15:13 დაწინაურდნენ, მაგრამ მეტზე ძალა აღარ ეყოთ და შემდეგ მთელი თამაში ავსტრალიელი გოგონები დედოფლობდნენ მოედანზე.

11:0 მოგებული მონაკვეთის შემდეგ ავსტრალიელებმა საბოლოოდ ხელთ იპყრეს მატჩის სადავეები. რუსები მათ კანტიკუნტი ჩხვლეტებით პასუხობდნენ, მაგრამ ჩანდა, ამ თამაშს ველარ მოიგებდნენ. 26:20 ლიდერობისას ავსტრალიელებმა კიდევ ერთი 11:0 გაქცევა მოაწყვეს და არც ისე თავდაჯერებული მეტოქეები მეორე ტაიმში 10 ქულაზე ახლოს არ გაიკარეს.

პენი ტეილორმა თავისიანებს 28 ქულა და 9 მოხსნა მოუტანა, ლორენ ჯეკსონმა 16 ქულა და 9 მოხსნა, ხოლო ქალთა კალათბურთის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა კრისტი ჰაროუვერმა 15 ქულას 5 პასიც მიაყოლა.

რუსთა შორის 17 ქულით და 13 მოხსნით საუკეთესო იყო მარია სტეფანოვა.

ნახევარფინალში რუსებთან უცაბედად დამარცხებულმა ამერიკელმა ქალებმა ჯავრი ბრაზილიაზე იყარეს და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში 99:59 შემუსრეს მასპინძლები. ისე, 40-ქულიანი სხვაობით რომ დამთავრდება, ძნელია, იმ მატჩს ბრძოლა უწოდო.

ბოლო სამი ოლიმპიადის და ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ამერიკა ახლა ბრინჯაოთიღა უნდა დაკმაყოფილდეს. მოკლედ, ქალთა კალათბურთშიც იფანტება ამერიკელთა უძლეველობის მითი. მოგეხსენებათ, კაცებმა კარგა ხანია, დაკარგეს უძლიერესი ნაკრების სტატუსი — 2000 წელს სიდნეიში გამარჯვების შემდეგ ველარაფერს იგებენ ბრინჯაოს გარდა. წლეულსაც, იაპონიის მუნდიალზე, ქალებისა არ იყოს, მესამე ადგილი შეხვდათ.

კოტე ყორღია



კოკაიმ (მარჯვნივ) წოდება შეინარჩუნა

იან ჰომერის თასი ჰარდი. საპრიზო 10 000 $



ანა ლაპუშენკოვა

AFP ფოტოს ალექსანდრ ფედოროვის ფოტო

პირველი პირველს

ანამ ამინას იანი არ დაანება

ფინალი

ანა ლაპუშენკოვა (1, რუსეთი) — **ამინა რახიმი** (ყაზახეთი) 7:6 (7:0) 6:2

„იან ჰომერის თასის“ პირველი მფლობელი რუსი ანა ლაპუშენკოვა გახდა. ტურნირის პირველ ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა მიზანს ისე უწია, მთელი კვირის მანძილზე მხოლოდ ერთი სეტი დათმო — მეორე წრეში, არმენორუს კრისტინა გრიგორიანთან.

ფინალში ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში შედგა. ანამ და ყაზახმა ამინა რახიმმა. მორიგეობით ექვს-ექვსი გეიმი აიღეს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ საკუთარი მოწოდებები მხოლოდ ორ-ორჯერ გამოიყენეს. წინა დღეს სოფო შაფათავას მძლეველი ყაზახი ტაიბრეიკშილა გატყდა — ერთი ზუსტი დარტყმა რაა, ისიც კი ველარ შეასრულა.

მეორე სეტში ლაპუშენკოვამ თავიდანვე იმძლავრა, ბადესთან გასვლაც დაიწყო და არაერთი რთული ბურთიც ჩააგდო.

